შპს ქართულ-ინგლისური
სკოლა
„ბრიტანიკა“
საქართველო, 0141 თბილისი,
ჩარგლის ქ. 65
ტელ: 2 60 69 27; 5 55 215084
Britannica.ges@gmail.com
WWW. Britannica.edu.ge

ბრიტანიკა Britannica
ქართულ-ინგლისური სკოლა
Georgian-English School

Georgian-English School
"Britannica" Ltd
65 Chargali str Tbilisi,
Georgia
Pho: 2 60 69 27
5 55 215084

ქ. თბილისი 29.06.2024
№ 2- 39

ბრძანება № 39

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“ 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საფუძველი
შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“ დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“ 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში.
2. დაევალოს სკოლის ადმინისტრაციულ - საკანცელარიო საქმეთა მენეჯერს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში. (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 64)

Tamar Maisuradze 01023003009
Digitally signed by Tamar Maisuradze
Date: 2024.08.10 06:48:52

თამარ მაისურაძე
შპს ქართულ-ინგლისური სკოლა
„ბრიტანიკას“ დირექტორი

დამტკიცებულია
შპს ქართულ-ინგლისური სკოლა„ბრიტანიკა“
დირექტორის მიერ
ბრძანება №39 29.06.2024

Tamar Maisuradze
Digitally signed by Tamar Maisuradze
Date: 2024.08.10 07:39:57

სკოლის დირექტორი /თამარ მაისურაძე/

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები

ანალიზი და შეფასება

„სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით“ და ხარისის უზრუნველყოფის სპეციალისტის სამოქმედო გეგმის შესაბამისად ქართულ-ინგლისურ სკოლა ‘ბრიტანიკაში“, 25 - 28 ივნისის პერიოდში განხორციელდა 2023-2024 სამოქმედო გეგმის მონიტორინგი. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა წარმოადგენეს ანგარიშები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხდა დაგეგმილი ამოცანების და აქტივობების შესრულების შემოწმება. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე, შესაბამისი პირების ჩართულობით, თითოეულ აქტივობას მიენიჭა სტატუსი: **„შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“** და საბოლოოდ, გაკეთდა განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.

სტრატეგიული მიზანი 1. სკოლის მმართველობაში დემოკრატიული პრინციპების განვითარება

ამოცანები	აქტივობები	მონიტორინგის შედეგები			
		შესრულდა	ნაწილობრი შესრულდა	ვერ შესრულდ ა	შენიშვნა
1.1. სკოლის მართვაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპის გაუმჯობესება	1.1.1. მისიის , ხედვის , ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტის შემუშავება				
	1.1.2 სკოლის ფილოსოფიის გადახედვის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნა				
	1.1.3 სკოლის ფილოსოფის გადახედვა და მიღება				
	1.1.4 სტრატეგიული გეგმის გადახედვა და სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით				
	1.1.5 მშობელთა სათათბიროსთან შეხვედრები სკოლის ფილოსოფიის გადახედვის პროცესის უზრუნველსაყოფად				
1.2 სასკოლო	1.2.1 საჯარო				

საქმიანობის გამჭირვალეობის და ხელმისაწვდომობის ინსტრუმენტების დახვეწა.	ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დაინტერესებული პირებისთვის				
	1.2.2 სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაცია და ჩართულობა ციფრული სტრატეგიების დანერგვა-განვითარების გზით				

სტრატეგიული მიზანი 2. სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება

ამოცანები	აქტივობები	მონიტორინგის შედეგები			
		შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	ვერ შესრულდა	შენიშვნა
2.1 საგნობრივი კურიკულუმიების უწყვეტი განახლება	2.1.1 საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად საგნობრივი კურიკულუმების განახლება				
2.2 სწავლა - სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა	2.2.1მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის შედეგების გათვალისწინებით ტრენინგ-კურსების შემუშავება				
	2.2.2 მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ტრენინგ-კურსების განხორციელება				
	2.2.3.მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის საფუძველზე საგნობრივი კათედრების				

	სასწავლო და სამოქმედო გეგმების შემუშავება.				
	2.2.4 მასწავლებელთა და მოსწავლეთა შიდა კონფერენციის ორგანიზება და გამოცდილების გაზიარება. მოსწავლეთა მონაწილეობა საგნობრივ ოლიმპიადებში და შედგების ანალიზი				
2.3.ინკლუზიური/ დიფერენცირებული მიდგომების ხელშეწყობა	2.3.1 ინკლუზიურ/ დიფერენცირებულ მიდგომებზე ტრეინინგის ჩატარება				
2.4 სწავლა-სწავლების ხარისხის მექანიზმების განახლება.	2.4.1 ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება				
	2.4.1 განახლებული ხარისხის მექანიზმების დანერგვა				

სტრატეგიული მიზანი 3. ადამიანური რესურსების მართვის სისტემების განვითარება

ამოცანები	აქტივობები	მონიტორინგის შედეგები			
		შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	ვერ შესრულდა	შენიშვნა
3.1 სასწავლო და ადმინისტრაციული პერსნალის მოზიდვა	3.1.1. საგნობრივი კათედრებისა და ადმინისტრაციული საჭიროებების გათვალისწინებით, კონკურსების ორგანიზება და ჩატარება 3.1.2 შერჩეულ თანამშრომლებთა				

	ნ ხელშეკრულებები ს გაფორმება				
3.2 თანამშრომლეთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება	3.2.1.თანამშრომე ლთა შეფასება არსებული მექანიზმის მიხედვით და უკუკავშირის მიცემა				
	3.2.2 საჭიროებათა კვლევის ჩატარება				
	3.2.3 პერსონალის განვითარების გეგმების შემუშავება, შეფასებისა და საჭიროებათა ანალიზის შესაბამისად				
3.3 თანამშრომეთა სამოტივაციო პოლიტიკის დახვეწა	3.3.1თანამშრომელ თა მოტივაციის მიზნით, ღონისძიებათა დაგეგმვა და ჩატარება				

სტრატეგიული მიზანი 4. მატერიალური რესურსების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ამოცანები	აქტივობები	მონიტორინგის შედეგები			
		შესრულდა	ნაწილობრი შესრულდა	ვერ შესრულდ ა	შენიშვნა
4.1 მატერიალური, ციფრული რესურსების და ინფრასტრუქტური ს განახლება, განახლებული სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.	4.1.1სასწავლო სივრცეების და კაბინეტების საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფა, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის განახლება				
	4.1.2 სკოლის ეზოს კეთილმოწყობა				
	4.1.3 ღია სპორტული მოედნის მოძიება ან/და სკოლის ეზოში				

	მოწყობისთვის ღონისძიებების გატარება				
4.2 ფიზიკურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმანა.	4.2.1 სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან და დამტკიცება				
	4.2.2. მდგრადობის დასკვნის მოპოვება				
	4.2.3 სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება				
	4.2.4. შრომის უსაფრთხოების ტრეინინგების ჩატარება				
	4.2.5. საგანგებო სიტუაციების გეგმის შესაბამისად, უსაფრთხოების ტრენინგების ჩატარება				
	4.2.6 ტრენინგის ჩატარება პერსონალური მონაცემების დაცვაზე				
	4.2.7 სკოლის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანოზმების განახლება და შეთანხმება სამინისტროსთან				
4.3 თანამედროვე ელექტრონული მართვის სისტემების დანერგვა და განვითარება	4.3.1.ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა				

სტრატეგიული მიზანი 5. მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების გაუმჯობესება

ამოცანები	აქტივობები	მონიტორინგის შედეგები			
		შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	ვერ შესრულდა	შენიშვნა
5.1 ექსტრაკურიკულ-ური პროექტებისა და აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა	5.1.1 მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით სხვადასხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება				
	5.1.2 მოსწავლეთა საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევების ჩატარება				
5.2.მოსწავლეთა პროფორიენტაციის და კარიერული	5.2.1პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავება და დანერგვა				

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“
2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

სტრატეგიული მიზანი 1. სკოლის მმართველობაში დემოკრატიული პრინციების განვითარება.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის შესრულებისთვის განსაზღვრულია ორი ამოცანის შესრულება:

1.1 სკოლის მართვაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპის გაუმჯობესება .

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები შესრულდა პირველი სემესტრის განმავლობაში. აღწერა მოცემულია 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის შუალედურ ანგარიშში.

რაც შეეხება მეორე ამოცანას - სასკოლო საქმიანობის გამჭირვალეობის და ხელმისაწვდომობის ინსტრუმენტების დახვეწას. აღნიშნული ამოცანის გადასაწყვეტად დაგეგმილი ამოცანები- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დაინტერესებული პირებისთვის- შუალედურ ანგარიშში აღნიშნულია, **„სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, დროულად უზრუნველყონს სკოლის ვებ-გვერდის გამართული მუშაობა, ასევე აქტიურად გამოიყენოს სხვა კომუნიკაციის არხებიც, მაგალითად სკოლის ელ.ჟურნალი, დრაივით გაზიარება და ასევე ელ. ფოსტა.**

რამდენადაც ვერ მოხერხდა არსებულ ვებ-გვერდზე ინფორმაციის განახლება და ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა, სკოლამ შეიძინა ახალი დომენი Britannica.ge, რომლის ბაზაზეც დამზადდა ახალი დიზინის ვებგვერდი, რომელსაც აქვს მარტივი ნავიგაცია, რის შედეგადაც ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია რამდენიმე კვირაში ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებული მხარეებისთვის.

სტრატეგიული მიზანი 2. სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება

სწავლა-სწავლების ხარხის გაუმჯობესება მნიშნელოვანი მიზანია სკოლისთვის. სკოლის მთელი საქმიანობა ამ სტრატეგიული მიზნის შესრულებისკენაა მიმართული. უპირველესი ამოცანა საგნობრივი კურიკულუმების უწყვეტი განახლებაა, რაც უნდა პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობების შეფასება მნიშნელოვანია სწავლა სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის. წარმოდგენილია ყველა კლასის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე.

სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია , (2.2) სწავლა -სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, რომელიც მოითხოვს სკოლაში მაღალკვალიფიციური პედაგოგების არსებობას. ამისთვის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია მასწავლებლეთა საჭიროებების დადგენა. აღნიშნულის შესაბამისად სკოლის ბაზაზე, სკოლის დირექტორის ხელმძღვანელობით დაიგეგმა და ჩატარდა ტრეინინგების კურსი:

1.III თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გამოწვევები;

2.საგნობრივი კურიკულუმების შედგენა ახალი სტანდარტების გათვალისწინებით;

3.XXI საუკუნის უნარები;

4.პროექტზე დაფუძნებული სწავლება;

5. დილემებით სწავლება;

6. შეფასების რუბრიკები უცხოურ ენებში.

სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანია, როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლების გამოცდილების გაზიარების მიზნით შიდა სასკოლო კონფერენციებში მონაწილება(2.2.4) . ამ მიზნით წლის განმავლობაში განხორციელდა XVI სასკოლო სასწავლო-სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა ყველა საგნობრივი კათედრა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ VIII-XI კლასის მოსწავლეები, რომელთა შორის დასახელდნენ საუკეთესო თემისა და წარდგენის ავტორები და რომლებიც სასწავლო წლის ბოლოს დაჯილდოვდნენ სიგელებით და წიგნებით. ასევე მოსწავლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს როგორც ეროვნულ ოლიმპიადაში, ასევე საქალაქო ოლიმპიადებში-KINGS და 'ევერესტი'. II სემესტრის ბოლოს მოხდა ოლიმპიადებში სკოლის მოსწავლეთა წარმატების ანალიზი, რომელიც წარმოადგინა სკოლის დირექტორმა.

სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას ხელს უწყობს სკოლაში ხარისხის მკაფიო, გამჭირვალე სისტემების ჩამოყალიბება. განახლებული ავტორიზაციის სტანდარტთან მიმართებით განისაზღვრა სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. სკოლის დირქტორის ბრძანებით (N2-17 26.09.2023) დამტკიცდა ხარისხის უზურნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. რომლის დანერგვაც განხორციელდა მეტწილად მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სასწავლო წელს შემუშავდა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები, თუმცა ჯერ კიდევ მიმდინარებს, ამ მიმართულებით სასკოლო საზოგადოების ცნობადობის ამაღლება.

სტრატეგიული მიზანი 3. ადამიანური რესურსების მართვის სისტემების განვითარება

სკოლის მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მართვის სისტემების განვითარება. ამ მიზნის მისაღწევად განსაზღვრულია სამი მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა:

3.1 სასწავლო და ადმინისტრაციული პერსონალის მოზიდვა;

3.2 თანამშრომლეთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება

3.3 თანამშრომეთა სამოტივაციო პოლიტიკის დახვეწა.

სამოქმედო გეგმის შუალედურ ანგარიშში აღწერილია სკოლის მიერ პრევენციული ღონისძიებები საჭირო კადრების მიზიდვის თვალსაზრისით, რაც შეეხება თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, სკოლის პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები კვალიფიციური ტრენერების მიერ, ხოლო სკოლამ უზრუნველყო მათი ფინანსურად უზრუნველყოფა. კერძოდ, პროფესიული დონის ამაღლების მიზნით, ტრენინგები გაირა:

სკოლის ადმინისტრაციულ - საკანცელარიო საქმეთა მენჯერმა- ტრენინგი თემაზე: კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება-საოფისე პროგრამები

სკოლის ბიბლიოთეკარმა- ტრენინგი თემაზე: „თანამედროვე საბიბლიოთეკო უნარები"

დირექტორის მოადგილემ -ტრენინგი თემაზე: „შეფასების მეთოდები ახალი სტანდარტების მიხედვით"

სკოლის დირექტორმა-ტრენინგი თემაზე „ როგორ დავეგგმოთ და ჩავატაროთ ტრენინგი".

სკოლის პედაგოგების მოტივაციის მიზნით, სასწავლო წლის ბოლოს დასახელდნენ წლის განმავლობაში მიღწეული მაღალი შედეგებითა და მოსწავლეთა საერთო შეფასებით საუკეთესო

პედაგოგები: თინათინ ოქროშიაშვილი, გელა მელექსიშვილი და თემურაზ ტაბატაძე, რომელთაც გადაეცათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

სტრატეგიული მიზანი 4. მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, აღნიშნული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, 2023-2024 წელს განისაზღვრა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

4.1 მატერიალური, ციფრული რესურსების და ინფრასტრუქტურის განახლება, განახლებული სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.

4.2 ფიზიკურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმანა.

4.3 თანამედროვე ელექტრონული მართვის სისტემების დანერგვა და განვითარება. დაგეგმილი ამოცანების გადასაჭრელად წლის განმავლობაში: განახლდა კომპიუტერული ტექნიკა (5 კომპიუტერი), სექტემბრიც თვეში, სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით განახლდა სკოლის ეზო. კერძოდ შემოიღობა სკოლის წინ მიმდებარე ბაღი და დაირგო მარადმწვანე მცენარეები. დაწესდა ბარის გამწვანების დღეს- ტყის საერთაშორისო დღეს მოსწავლეები ყოველწლიურად განაახლებენ ბაღს, დარგავენ ახალ მცენარეებს და წარმოადგენენ გარემოს დაცვისადმი მიძღვნილ სასკოლო ღონისძიებას. მშობელთა სათათბიროს დახმარებით მოლაპარაკება დაიწყო სკოლის ეზოში სპორტული მოედნის მოწყობის თაობაზე.

ფიზიკურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნის მიზნით პირველ სემესტრში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმდა უფლებამოსილ ორგანოსთან და დამტკიცდა **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან მიღებული შესაბამისობის წერილის საფუძველზე -(MIA 32400635800 01/03/2024**).

ჩატარდა ტრეინინგები შრომის უსაფრთხოებისა (თარიღი 20.03.2024) და პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე. (თარიღი 10.04.2024)

ელ.საქმისწარმოების დანერგვის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება shoolbook-„School Management System" თან(N SB1.5-1923-029 01.09.2023) .

სამოქმედო გეგმით დაგეგმილი აქტივობები, რომელებიც ეხება შენობის მდგრადობას და სახანძრო უსაფრთხოების დასკვნას, ვერ შესრულდა. აღნიშნული საკითხების მოგვარების ვადად განისაზღვრა ერთი წელი.

სტრატეგიული მიზანი 5. მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების გაუმჯობესება

სტრატეგიულ მიზნად მოსწავლეთა მხარდაჭერის სევისების განსაზღვრა, ავტორიზაციის განახლებული სტანდარტის გამოძახილია. სკოლა მუდმივად დიდ ყურადღებას უთმობდა არაფორმალური განათლების ფარგლებში მრავალფეროვანი კლუბებისა და წრეების შეთავაზებას მოსწავლეებისთვის. გამონაკლისი არც 2023-2024 სასწავლო წელია. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა, მკითხველთა კლუბი, მოგზაურთა კლუბი, სასკოლო კონფერენცია, სასკოლო ოლიმპიადა.

მოსწავლეთა თვითმართველობის ფარგლებში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები. (იხ.დანართი). ღონისძიებების მაღალი ხარისხისა და მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის გამო მოსწავლეთა თვითმართველობის მუშაობა შეფასდა, როგორც საუკეთესო და თვითმართველობის ხელმძღვანელს, თეკლა ბენდიანიშვილს წლის ბოლოს გადაეცა სიგელი და წიგნები.

პროფორიენტაციის და კარიერული განვითარების მხარდაჭერის ამოცანის ფარგლებში შემუშავდა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა (ბრძანება №2-09 30.09.2023)

პროგრამის ფარგლებში მოსწავლეები ესტუმრნენ მთელ რიგ დაწესებულებებს. კერძოდ:

1. **ფარმაცევტულ საწარმო „ავერსს"**, სადაც მოსწავლეები გაეცნენ:

- ფარმაცევტული საწარმოს მუშაობის სპეციფიკას;
- დაათვალიერეს ულტრათანამედროვე ხარისხის კონტროლის ფიზიკურ-ქიმიური და მიკრობიოლოგიური ლაბორატორია;
- გაეცნენ საწარმოო უბნების აღჭურვილობას;
- დაათვალიერეს უმაღლესი დონის, თანამედროვე მანქანა-დანადგარები;
- გაეცნენ საწარმოო უბნებზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის რეგლამენტს.
- შეისწავლეს პროდუქციის ხარისხის შემოწმების ეტაპები;
- გაეცნენ საწარმოში დანერგილ უნიკალურ, ერთიან კომპიუტერიზებულ ფარმაცევტულ სისტემას.

2. **„GWP- წყლის მომარაგების საწარმოს და კომპანია „მთის წყალი“.** მოსწავლეები ადგილზე გაეცნენ:
   - წყლის, როგორც ამოწურვადი რესურსის მნიშვნელობას;
   - წყლის მოპოვებისა და სრული დამუშავების ციკლს;
   - დაათვალიერეს საფილტრი მოწყობილობები;
   - გაეცნენ, თუ როგორ ხდება სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი „ჯივიპი“ს ლაბორატორიებში და თავადაც მიიღეს მონაწილეობა პრაქტიკულ ცდებში.
   - მოსწავლეებმა არაფორმალურ გარემოში მიღებული ცოდნა და გამოცდილება წარმატებით დაუკავშირეს შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებას ქიმიაში, წყლის შესახებ, რომელიც ინტეგრირდა კომპლექსური დავალებების განსახორციელებელ აქტივობებში.

3. **სამთო ინსტიტუტი.** მოსწავლეებმა
   - დაათვალიერეს მიწისქვეშა ექსპერიმენტული ბაზა.
   - გაეცნენ ფეთქებად და საშიშ ნივთიერებებს;.
   - ეწვივნენ პოლიმერული კომპოზიტებისა და მაღალტექნოლოგიური მასალების ლაბორატორიას.
   - განახორციელეს სხვადასხვა ლაბორატორიული ექსპერიმენტები.
   - გაეცნენ ეკომეგობრულ მასალებს;
   - დაამზადეს ბიოპოლიმერები;
   - მოირგეს „პატარა მეცნიერ-მკვლევრების “ როლები.

4. **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორია**.
   მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს 1 საათიან საინტერესო ქიმიურ შოუში, სადაც განახორციელეს საინტერესო ცდები. დაათვალიერეს ქიმიის დეპარტამენტი, დასვეს საინტერესო შეკითხვები უნივერსიტეტის წარმომადგენელთან. გაეცნენ უნივერსიტეტის პროგრამებს, სპეციალობებსა და იმ თანამედროვე მიდგომებს, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს ქიმიის და არა მხოლოდ ქიმიის დეპარტამენტის ბაზაზე.

5. **პროფესიული კოლეჯი „მერმისი“. მოსწავლეებმა დაათვალიერეს:**
   - კოლეჯის სახელოსნოები;
   - გაეცნენ პროფესიულ პროგრამებს;
   - შეხვდნენ სტუდენტებს და გაესაუბრნენ კოლეჯის პედაგოგებს;
   - ესტუმრნენ კოლეჯის მუზეუმს, სადაც გამოფენილია სტუდენტების ნამუშევრები;

აღნიშნულმა პროგრამამ მოსწავლეებში დიდი ინტერესი გამოიწვია. შედეგად, აღნიშნული პროგრამა შეფასდა, როგორც წარმატებით განხორციელებული აქტივობა.

2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შეფასება

პრობლემა	პრობლემის აღწერა სათანადო მაგალითებით	იდენტიფიცირებული პრობლემის მნიშვნელობა
მატერიალური რესურსების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	1.სკოლას არა აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრაგობის შესახებ 2.სკოლას არა აქვს დასვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ	ფიზიკურად უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად მნიშვნელოვანია არსებული დასკვნების არსებობა.

SWAT ანალიზი

S ორგანიზაციის ძლიერი მხარე:	W ორგანიზაციის სუსტი მხარე:
1.უსაფრთხო სასკოლო გარემო; 2. განახლებული სკოლის ფილოსოფია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. 3. განახლებული საგნობრივი კურიკულუმები, საგნობრივ სტანდარტებთან შესაბამისობაში. ინგლისურ ენის გაძლიერებული პროგრამის განახლებული კურიკულუმები. 4. პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამა. 5. არაფორმალური განათლების ფარგლებში ჩატარებული მრავალფეროვანი ღონისძიებები. 6. სადიაგნოსტიკო წერა IV-VI-IX კლასებში 7. ეროვნულ ოლიმპიადაში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა 8. TIMSS -მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევაში ჩართულობა. 9. STEAM -ის მიერ ორგანიზებული ოლიმპიადაში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა. 10. სკოლის კურსდამთავრებულთა მაღალი აკადემიური შედეგები ეროვნულ გამოცდებზე. 11. საქველმოქმედო ღონისძიებებში მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა.	1. შენობის მდგრადობის დასკვნა 2. სახანძრო უსაფრთხოების დაცვა 3. სპორტული ინფრასტრუქტურა

O ორგანიზაციის შესაძლებლობები:	T მოსალოდნელი საფრთხე:
1. პედაგოგების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და ხელშეწყობა. 2. მოსწავლეების აქტიური ჩართულობა და სკოლის ბაზაზე მათი მომზადება საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდებისთვის ინგლისურ ენაში. 3. სასწავლო პროცესის წარმართვა მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. (ქეისებით სწავლება, პროექტული სწავლება, დილემებით სწავლება) 4. ციფრული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება სასწავლო პროცესში.	1. საკანონმდებლო ცვლილებები. 2. გაუთვალისწინებელი საკადრო ცვლილებები.